№ 128. 21 ივნისი, ქვირა. 1866—1881 21 ივნისი, ქვ-რა. № 128.

რედაქცია

გალავნის პროსპექტზეთ. ივ. მუხრანსკის სახლებში. ალუბის ქვეშთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროებაზ“ „იკვრეის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროებაზ“-„იკვრეის“ აგენტთან ი. ჭელნიასთან ხილაზე. კარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

		წელიწადში.	6 თვეს.	3 თვეს
დროებაზ“ და „ივერიაზ“	ერთად	14 მან.	8 მ.	5 მ.
ცალკე	„დროებაზ“	9 მან.	5 მ.	3 მ.
	„ივერიაზ“	7 მან.	4 მ.	2 მ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოროშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ. ჩვეულებრივი ასოთ-თავრულით ასოზე ნახევარი კაპ. ერთ-ერთ ასოზე 3 კაპ. ასოზე შეთხვედი კაპ.

თუ ხაჭირობა მოითხოვს, რედაქცია კაბარეტებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. და უბეჭდელ წერილს რედაქცია უარ-ტოთ კერ დაუბრუნებს აგტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და ხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებაზ“-„იკვრეის“ აგენტთან.

ვალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

პირველის ივნისიდამ წლის დამლევამდინ

დროება

ღირს ექვსი მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება, თფილისში, რედაქციაში (გალავნის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვეშ), ქუთაისში—აგენტთან ბ. იდია ჭყონიასთან (სიდაზე, მირიან ჭყონიას სახლში). ქალაქს გარეშე მცხოვრებთა-თვის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба“.

ტელეგრამები

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის ხაგენტისა“)

სოფია, 17 ივნისს. 14 ივნისს მოსხდარ კენჭის ერის დაახლოებებით ანგარიშით ხმის უმეტესობა ბოლგარიის მთავრისაკენ იქნება.

ლონდონი, 18 ივნისს. პროექტი არის, რომ ტრიბუნალი იტალიას დაუთმონ; საფრანგეთი ამის თანახმა არის.

პარიჟი, 18 ივნისს. უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრმა ბარტელემი—სანტ-ილერმა ნოტით მიმართა ოსმალეთს და შესჩივლა ტრიბუნალში მეოფის ოსმალოს აგენტის ნაზიფ-ფაშის მოქმედებაზედ.

ბერლინი, 18 ივნისს. ლეიპციგიდამ ტელეგრამმა მოვიდა, რომ ლეიპციგის მაზრიდამ ასამდინ სოციალისტი განუდგენიათ, ამათ რიცხვში ბებელი, ლიბკნეხტი, გაზენკლეგერი და ფინკი.

კეტერბურღის ბირჟა, 19 ივნისს.

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემისა—	95—	75
მეორესი— — — —	94—	50
მესამესი — — — —	94—	50
მეოთხესი — — —	94—	25
აღმოსავლეთის პირე.—	92—	87
აღმოსავლეთის მეორე	92—	87
აღმოსავლეთის მესამე	93—	„
ოქრო, ½ იმპერიალი	8—	5

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	228—	50
მეორე სესხის — — —	221—	„

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — —	24—75	პენსი
ბერლინი — —	123—	„ პფენიგი
ბამბურღი — —	211—75	ცენტი
პარიჟი — — —	260—75	სანტიმი
ამერიკის კერასინი — —	—	

საფრანგეთის სენატი სახალხო განათლებაზე

თბილისი, 20 ივნისს.

განსვენებული ბიზო საფრანგეთის ცივილიზაციის ისტორიაში სწერს: ყოველი დიდი ჰაზრი, რომელიც ევროპაში გავრცელებულია, ან არის საფრანგეთში დაბადებული, ან, თუ არა და, ჯერ საფრანგეთისგან შეთვისებულია და მერე საფრანგეთიდამ დანარჩენ ევროპაში გავრცელებულიო...

ეს ჰაზრი მოგვეიდა თავში, როცა ჩვენ კალამი ავიღეთ და კიდევ საფრანგეთის სენატზე ლაპარაკი დაუწყეთ ჩვენ მკითხველებს. ამ თვის დამდეგში უმაღლესმა პალატამ გაარჩია ერთი ამ გვარი ჰაზრი, რომელმაც, მომავალში დიდი ადგილი უნდა დაიჭიროს ევროპაში, ბიზოს თქმის არ იყოს. ეს ჰაზრი, ადრე თუ გვიან, ჩვენამდისაც უნდა ჩამოვიდეს და ჩვენი საკუთრება გახდეს...

ჩვენ ვამბობთ სწავლა-განათლების წარმართებაზე.

სულ უკანასკნელ დრომდის საფრანგეთის სწავლა-განათლებას განაგებდა ნაპოლეონის კანონები; რესპუბლიკამ, სხვა-და-სხვა მინისტრების და სასულიერო პირთა გავლენის წყალობით, ვერ შეიძლო მიეცა სკოლებისთვის ნამდვილი, ხალხისთვის საჭირო და გონიერული მიმართულება, რომელსაც, რა საკვირველია, ვერ მისცემდა იმათ ნაპოლეონის ზრუნვა თავის ტახტთან სიმტკიცეზე.

როცა კი უკანასკნელი შიში გაჰქრა, როცა მაკ-მაჰონს, ბიუფფეს, ბროლის, პუაიე-ტერტიეს და მსგავსთა ხელმწიფობას ბოლო მოეღო და ბრეგის მმართებლობა დაწესდა, უმთავრესი და უპირველესი ზრუნვა რესპუბლიკელებისა მიუბრუნდა სწავლა განათლებას. 1879 წელში დაპუტატმა ბაროდემ და მისმა პოლიტიკურ ამხანაგებმა შეადგინეს ახალი კანონ-პროექტი სწავლა-განათლებისა; ეს კანონ-პროექტი შეისწავლა განგებ დანიშნულმა პარლამენტის კამისიამ და ბოლოს დეკემბერში მიიღო კანონათ დეპუტატების პალატამ.

ჩვენ არ შეგვიძლია ამ კანონ-პროექტის აქ მოყვანა.—ის შეადგენს 109 პარაგრაფს, ასე რომ არც კი დაგვეტევა, რომ კიდეც გვინდოდეს დაბეჭდვა.—მოვიყვანთ მხოლოდ ამ პროექტის საფუძველს და ვნახავთ, თუ როგორ მოექცა კანონ-პროექტს ჩვეულებრივზე უფრო ახირებული სენატი.

კანონის უმთავრესი საფუძველი არის: **ვალდებულო, უფასო** და **საერო** სწავლა. სახელმწიფო ინტერესი ითხოვს, რომ ყოველი რესპუბლიკის შვილი—ვაჟი და ქალი—რამდენათ არის მაინც, სწავლული იყოს. ამისთვის სახელმწიფო ვალათ უდებს ყოველს საფრანგეთის მოქალაქეს ასწავლოს თავის შვილს წერა-კითხვა მმართებლობისაგან დამტკიცებული პროგრამმით, **ექვსიდამ ცამეტ წლამდის.**

შეიძლება ყველამ არ იაროს სკოლაში, და შინ ისწავლოს ამ პროგრამის შესაფერათ, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ყოველი წლის ბოლოს ის ვალდებული იქნება ეკზამენი დაიჭიროს ამის გამო დაწესებულ კამისიის წინა. სახალხო სკოლა დაყოფილი იქნება სამ რიგათ: ბავშვების სკოლა, პირველ-დაწყებითი სკოლა და უმახლესი სკოლა. ამ სკოლების ყურის-მგდებელი არის, როგორც საზოგადოება, მისგან არჩეული პირებით, ისე მმართებლობა. სკოლების ოსტატები მიიღებენ განათლებას სპიციალურ სასწავლებლებში და იქნებიან მატერიალური მხრით უზრუნველყოფილნი...

ამ გვარ კანონს, ცხადია, რა სიკეთის მოტანაც შეუძლია საფრანგეთისთვის. ამ დროებით საფრანგეთში 71,547 სკოლაა, რომლებშიდაც 110,700 ოსტატი ასწავლის. ახალი კანონი ამას ორ იმდენ სხვას შემატებდა, რომ... სენატს არ გაეწია პალატასთვის ჯიუტობა.

ამ თვის დამდეგში სენატმა განიხილა ეს კანონ-პროექტი. ბამბეტტაზე გამჯავრებულმა და პალატაზე უკმაყოფილო სენატმა ვერ დაიჭირა ღირსეულათ თავი, ვერ გასინჯა ეს მძიმე კანონ-პროექტი იმ გულ-გრილობით, რომელიც შეშვენის სენატორების ჭაღარა თმას და დამჯდარ ჭკუა-გონებას და ტემპერამენტს. იმან არ მიიღო ის საფუძველი, რომელზედაც იყო დამყარებული პალატის გარდაწყვეტილება.

კანონ-პროექტი, მაგ. სკოლაში **საერო** განათლებას მარტო აძლევდა ბავშვსა. სასულიერო და სარელიგიო განათლება უნდა მიეღო მოზარდ თაობას, თავის მშობლებთან, სურვილისა-მებრ. სენატმა ლიუსიენ ბრეენის წინადადებით, თუმცა მთლად ვერ გაბედა ამისი უარ-ყოფა, მაგრამ მაინც შემოაპარა სკოლას რელიგიური განათლება. სენატის გარდაწყვეტილებით, სკოლაშიაც ასწავლიან საღმრთო სჯულს, მაგრამ მხოლოდ სხვა საგნების სწავლისგან თავისუფალ დროს.

ეს კათოლიკეთა სასიხარულო გადაწყვეტილება სენატში ხუთის ხმის უმრავლესობით გადაწყდა (139-134).

შესახებ შინ გაზდილი ბავშვების ეკზამენისა სენატორის პარიოს წინადადებით სენატმა გადაწყვიტა: ეკზამენის მაგიერ სახალხო სკოლის კამისიას და ინსპეკტორს ნება ჰქონდეს სასამართლოში უჩივლონ იმ მშობლებთა, რომელნიც არ ასწავლიან თავიანთ შვილებს. ეს გადაწყვეტილება მიიღო სენატმა ათის ხმის უმრავლესობით. ორივე ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საფრანგეთის საჭიროებას და ადგენს ნაპოლეონის დროებას. პირველი გადაწყვეტილებით იეზუიტებს ეძლევათ ნება თავისი შავი კალთა გადააფარონ სკოლას; მეორე გადაწყვეტილებით ვალდებულ სწავლას ეძლევა დიდი ზიანი, რადგანაც შეუძლებელია სახალხო სკოლის კამისიამ და ინსპეკტორმა შეიტყონ ვინ ასწავლის შინ და ვინ არა და თუ შეიტყვეს იმდენ საჩივარს გაუვიდნენ, რამდენიც, უეჭველია, იმათ შეხვედებათ თავის ვალდებულების აღსრულების დროს.

ეხლა კითხვა ხელ-ახლა უნდა დაიწყოს. პალატა ხელ-ახლა განიხილავს ამ კანონ-პროექტს და, უეჭველია, დაამტკიცებს. საქმე იმაშია, რას იზამს სენატი? სანამ იქნება ის საფრანგეთის ხალხის წარმომადგენელთა წინააღმდეგი, სანამდის გასწევს ქატილინის ბოროტი განზრახვა და პალატის მოთმინება? მომავალი დეპუტატების არჩევანი და ბამბეტტის გავლენა გასცემს იმას პასუხს.

ლელო.

ახალი ამბები.

თბილისის რუსულ გაზეთს „ნურიდიულ მიმოხილვაში“ დაბეჭდილია გორიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომლის ავტორიც ჰკიცხავს ამ ჟამად იქ მყოფ ოლქის სასამართლოის განყოფილების თავს-მჯდომარის სვიდერსკის მოქმედებას. საქმეების გარჩევის დროს ხალხს მკაცრად ეპყრობაო, ხშირად უმიზეზოდ გადადებს ხოლმე იმასთანა საქმეებს, რომლისათვისაც ბევრი მოწმეები არიან დაბარებულნი და ხალხი მოცდენილა მუშაობასაო ამისთანა გაცხარებულ მუშაობის დროსაო და სხვ.

აქედამ წარმოსდგებაო, ამბობს, ხსენებული კორრესპონდენტი, რომ აქაური ხალხი არ ემადლიერება, ძველ წესების დაბრუნებასაც კი ნატრულობსო.

***

ქიზიყიდამ გვწერენ, რომ ზოგიერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქაურ სოფლის მღვდლისაგან ძალიან შეეიწროებული არის ხალხიო დრამმის და კოდი პურის გადახდაზედაო. სხვათა შორის, ზემო-მაჩხაანის მღვდელზე მ. ი. ნ—ზე გვწერს კორრესპონდენტი, რომ თვითონ ისე მოხუცებულიაო, რომ მღვდელ-მოქმედების შესრულება ძლიერ უძნელდება, მაგრამ თავის ხეედრ ხარჯის (კოდის პურის) გადახდაზე კი ძალიან მუყაითი არისო. ერთი შვილი ჰყავს, დ.. „ზუკუციასავით“ ჩაუდგება გლეხებს და სანამ არ გადაახდევინებს, არ მოშორდებაო.

* * *

ბაზ. „ბოლოსში“ იწერებიან, რომ ქასპიის ზღვის ნაპირა, მიხაილოვის სტრუტეს მახლობლად აღმოჩნდა ოზოკერეტი (მიწის სანთელი), რომელიც იჯარით მიეცა თ. ა. ერისთავს და მუშაობსო. ამას გარდა ამ მხრისაკენ აღმოჩენილა კიდევ ნავთის წყაროები.

„იმავე თ. ერისთავის თაოსნობით აწარმოებენ ამ ჟამად ჩირკატის (დაღესტნის მაზრის) გოგირდს, რომელიც ბაქოში მიაქვსთ იქაურ ქარხანაში. ყველა ეს საქმეები თ. ერისთვისა მით უფრო შესანიშნავია, რომ როცა იმან ამგვარ საქმეებს მოჰკიდა ხელი, სრულებით არავითარი ნივთიერი საშუალება არა ჰქონდა და რამდენიმე თანაგრძნობი და სამშობლო წარმოებისა და სიმდიდრის შემატების გულ-შემატკივარი რომ არ აღმოჩენოდა, უცხო ქვეყნელებს უნდა ჩავარდნოდათ ხელში ეს სასარგებლო საქმეები“.

* * *

ქიზიყიდამ გვწერენ:

„ხუთი წელიწადი იქნება, რაც ქიზიყელებმა კუჭი მოისწორეს კარგი მოსავლის გამო და შიმშილობაში დაფანტული ცხვარ-ძროხა გაიმრავლეს. ამ კეთილდღეობას არ აკლდნენ საწყალნი გლეხნი, ობოლნი და ქვრივნი, რომლებმაც ნაცვლად მიწის გომურებისა გააკეთეს ორ ოთახიანი ქვით-კირის სახლები, დახურული კრამიტით, გაიჩინეს თათო ურმის საქონელი და ცხენიც. ასე რომ მდიდარ კაცს აღარ შეჰყურებდა ხელში, ლუკმა პურს იმისგან აღარ მოელოდა და ჯავრით იხოცებოდნენ მდიდარი გლეხნი. მარამ ეხლა ისეთი დღე დაადგათ ამათ, რომლის მაყურებელნი და მიწამე არა ვყოფილვართ და არც გაგვიგია ჩვენ მამა-პაპათაგან.

„ძრიელ გამრავლდა ქურდობა ქართველებიდგან, ღუპავენ ხალხსა. აღარ გააგიათ ქვრივი, საწყალი და ობოლი. იმას ღუპავენ, ვისაც მოძებნის თავი არა აქვს, სასამართლოს კარები არ იცის. იმას პარავენ, ვისაც კალოებში გამაგრებულ ბაკებში ჰყავთ: ყეავრი ხარი, რამდენიმე კამეჩი და თითო ცხენი. რაიცა შეეხება მდიდარ ქიზიყურ ოჯახის შვილებს, რომლებსაც ჰყავთ უთვალავი ძროხა, კამეჩი და ცხენი შირაქის ვაკებზედ ს. ილდრის პირში, უენებელი რჩებიან.

— რათა?—ამ ჩვენ მდიდარ გლეხებს თავიანთ ძროხაში მოჯამაგირეებათ უჭირავთ ქურდი თათრები, რომელთანაც მეგობრათ არიან ქართველი ქურდები, რომლებმაც იციან: რომელი მეზობელი სად არის, სადჰყავს, შესავალი საიდგან აქვს. მოიმჯობინებს დროს და ერთ ღამეს დაეცემა ქურდულათ, ღუპავს და მიუდის მოჯამაგირე თათრებთან. ესენიც აცილებენ ბანჯა-ბორჩალოსკენ. სცვლიან იქ, დაცვლილი საქონელი მოუდით და იაფ ფასათ აძლევენ თავიანთ აღებს და ოჯახისშვილი მრუდობით წარმატებაში შედის, საწყალი გლეხი უძირო ორმოში ვარდება. მომპარავი ქართველი იმლამესვე ბრუნდება თავის ბინაზე. წვება და თურამე ეჭვში შევა რასმე ეტყვის, კიდევაც ლანძღავს და კიდენ ემუქრება: მე წუხელის ჩემ კალოზე მეძინა და საიდგან მოვიპარავდიო და თუ ამასაც მაბრალებ და ახლა მე ვიციო! მოდიდა დაუმტკიცე და ან ხმა ამოიღე! ამაყობით იმისათვის ლაპარაკობს, რომ შემწეობა დიდი აქვს მდიდარ ოჯახის შვილებიდგან და მამასახლისებიდგან, რომლებიც ეუბნებიან: ოღონდ მე ნურას დამიშავებ და საწყალი გლეხი დაღუპეო, გამდიდრდნენ ეგენიც, ძაღლათაღარ გვაგდებენო, რომ ჩვენ ხელში აღარ შემოგვყურებენო. ეხლანდელი კანონი დამტკიცებას და მოწამეს ითხოვსო და თუ დაგიჭერავენ ეჭვით, ისევ მალე გამოგიშვებენო. აგე რამდენჯერ დაიჭირეს ერთი, ორი, სამი ოთხი და სხვ. და ისევ გამოუშვესო! მართლაც ისეა ბევრს იჭერენ და მინამ წამყვან კაცი უკან დაბრუნდება და შინ მოვა, ის მოუსწრობს ხოლმე.

„ისე დააშინეს საწყალი ხალხი ქურდებმა, რომ ძროხა, კამეჩი და ცხენი, ვისაც რა გადარჩა, ღამე გომებში ჰყავთ და ზედ კარებზედ უწვანან; მაგრამ ღამე გომებში ძრიელა სცხელა და ამისათვის საქონელს ბალანი გასცვივდა, დამჭლევდა და ამას ვინ იდარდებს, თუ ხოცვაც არ დაერთო და ჭირი არ გაჩნდა.

„აი, ბატონო, ამისთანა უბედურება სუფევს ქიზიყში და ვრცელდება...

„ეს ერთი თვე იქნება, რაც ჩვენმა მაზრის უფროსმა დაიბარა მდიდარი გლეხები და უბრძანა, რომ თქვენი მინდვრებიდგან თათრები უნდა აჰყაროთო, რომ ყოველი ქართველიდგან ნაპარევი საქონელი თათრებიდგან იგზავნებაო. ეს კარგი და პატიოსანი; მაგრამ ისევ თათრები ამათ მინდვრებში ბრძანდებიან და ქურდობა, რაც დრო მიდის, ფესვებს იდგამს—და საწყალი გლეხი იღუპება.

„კარგი იქნება ბ. უფროსმა თავისი სიტყვები აღსრულებაში მოიყვანოს, თვით ის წაბრძანდეს და გადაასახლოს ამათი მინდვრებიდგან. სოფლებს დაუყენებინოს ცხენიანი ყარაულები სოფლის ფულით და აგებ ქურდობა შემცირდეს და საწყალმა გლეხმა კარზედ მომდგარი სარჩო გაიკეთოს.

„ამაზედ სოფლებში ყოფილა და იყო ლაპარაკი, მაგრამ მდიდარი გლეხები თანახმანი არ გახდნენ და რა გიქები იქნებიან! ამათი რა იკარგება, თუმცა თათრების ობების ახლო ჰყავთ საქონელი, ელდრის პირში, იმისათვის, რომ ვინც კი ქურდია თათრები, ამათ მინდვრებს ახლო ყველა მოჯამაგირეთა ჰყავთ. თუნდა თათრები დაათხოვინონ, მდიდარი გლეხები ისეთ ქართველ ქურდებს დაიჭერენ მოჯამაგირებათ, რომ თათრებზედ ნაკლები არ არიან. დასამტკიცებლად ამისა აქ გახლავთ ერთი აზნაური პარეშა ზო—რი, რომელმაც, გაიგო თუ არა ხმა თათრების აყრაზედ, დაიჭირა მოჯამაგირეთ ძროხაში ბოდბიხეური კაცი სახელად ზურაბა, ქურდი, ყაჩაღი და რამდენჯერმე საპყრობილეში დაჭერილი. ამას მე ვგონებ, რომ გაიგებს ბ უფროსი და ყურადღებას მიაქცევს.

„კარგი იქნება, მთავრობამ ყურადღება მიაქციოს შეეიწროებულ საწყალ გლეხის მდგომარეობას და დაიხსნას ამისთანა მდგომარეობიდგან საწყალი გლეხი.

„ვსწუხვართ და ძრიელ ვწუხვართ, რომ გლეხი დადის საძებნელად თავისი დანაკარგისა; როდესაც ეხლა ნამგალს და ცელს უნდა ლესავდეს სარჩოს შემოსატანათ“.

—

რადგან ზოგიერთა ამ ნომრისთვის დანიშნული სტატიები, ჩვენგან დამოუკიდებელის მიზეზის ამო ვერ დაიბეჭდა, ამიტომ დღეს სრული ნომერი არ გამოდის. რედ.

წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო! პატივცემულის გაზეთის „დროების“ 99 №-ში სხვათა შორის იყო შენიშვნა, ხელმოწერილი „რაჭველი“, ადმინისტრაციის და სამოქალაქო სუდიის მოქმედების თაობაზედ. ამ შენიშვნამ, როგორც ბოლოს აღმოჩნდა, აამფოთა და ააღელვა ყველაზედ უმეტესად ადგილობრივ პოლიციის პრისტავი ბ-ნი ჯანელიძე, რომელსაც ეს შენიშვნა ბრალს ადებდა ნიკორწმინდას და ბუგეულის შუა გზის კეთების დროს თავის ინტერესის დაცვას და მისის მეზობლების ნიკორწმინდელებისას. ამ შენიშვნის დაწერა ბ-ნმა ჯანელიძემ შემომწამა მე. მე გთხოვთ ბატონო რედაქტორო, გამოაცხადოთ გაზეთში, რომ მე არა ვარ ავტორი იმ შენიშვნისა, თუმცა ეამტკიცებ ჩემის მხრით სინამდვილეს იმ შენიშვნაში მოხსენებულის ფაქტებისა.

საჭიროდ ვრაცხ ზემოხსენებულის დაბეჭდას, მისთვის, რომ ხვანჭკარის საზოგადოების გლეხ-კაცებ შორის გავრცელდა იმისთანა ხმა, რომელიც შემეხება მე იმოდენად, რომ ვალად ვსთვლი თავის მართლებას. აი რა'ი მდგომარეობს ეს ხმები:

ბ-ნ ჯანელიძეს შემდეგ იმ შენიშვნის წაკითხვისა „უბრძანებია“, ეს თ. ქ. ყიფიანის დაწერილია და თუ ასეა ამ უსარგებლო გზას გავაკეთებინებ საკუთრად საყიფიანოში მცხოვრებ გლეხებსა.

მართლათაც რომ შე. ბ. ბ. ეს შენიშვნა, გლეხების რა ბრალია? თუ რომ ბ-ნი ჯანელიძე იმ შენიშვნაში ჰხედავს რაიმე ცილის-წამებას, ვინ უშლის ან ბეჭდვით დაარღვიოს ეს ცილის-წამება, ან დაიწყოს საჩივარი დიფამაციისათვის. ბენეიმეორებ, რომ თუმცა მე ის არ დამიწერია, როგორც თვით თქვენ უწყით, მაგრამ დიდის სიამოვნებით გამოვიწვევ ბ-ნ ჯანელიძეს, რათა მომთხოვოს განმარტება და ახსნა პირად მე და არა მცხოვრებლებისა, რომელნიც მის გარჩევაში არ შედიან—რომელი გზა არის მათთვის სასარგებლო და რომელი არა და მხოლოდ ბრძანებას ემორჩილებიან. ჩვენის მხრით ვსთხოვთ ბ-ნ ჯანელიძეს ნება დაგვრთოს მივცეთ მას მცირედი რჩევა: დაამშვიდოს, თავის პირ-და-პირ მოვალეობას დაუკვირდეს, გლეხთ შეეიწროების მაგიერად ეცადოს ყოველის მისგან დამოკიდებულის საშუალობით მათ გაჭირვების შემსუბუქებასა და მწუხარების გაადვილებას, ეს შეადგენს პირ-და-პირ მოვალეობას და ან რა სასიამოვნოა, რომ აწყევლინებს თავის-თავს...

თ. ჭ. ყიფიანი.

ივნისს 14, სოფ. ტოდა.

რუსეთი

ბოდოსი გვაცნობებს, რომ 9 ივნისს ქ. ყაზანში ჩასულა სახალხო განათლების მინისტრი ბარონ ნიკოლაი და ადგილობრივ უნივერსიტეტში სხვათა შორის უთქვამს, რომ უნივერსიტეტის წესდება 1863 წლისა ხელ-ახლავე შემოღებული იქნებაო.

— იგივე გაზეთი სწერს, რომ პეტერბურღის სამოქალაქო რჩევას ჰქონია 12 ივნისს სჯა ხმოსნის ბ. ფრედერიკსის წინადადებაზე შესახებ გაზეთის მოსკოვის უწყებების რედაქტორის კატკოვის სამართალში მიცემაზე იმ შეურაცხყოფისათვის, რომელიც მან მიაყენა რჩევას; ხმოსან ლერმონტოვს წარმოუთქვამს კატკოვის წინააღმდეგ ცხარე სიტყვა. რჩევას გარდაუწყვეტია, სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო, დასტოვონ სტატია უყურადღებოდ.

— ნოვოე ვრემია ამბობს, რომ ფინლანდიის სეიმს (დეპუტატთა ყრილობა) მიენიჭება კანონმდებლობის უფლებაო.

— იქვე სწერია, მმართებლობას განზრახვა აქვს, რომ დაადგინონ ყველა რკინის გზების მოსამსახურეებისთვის საერთო პენციის კასსა.

— მმართებლ. მოსკოვში დაბეჭდილია შემდეგი სიტყვები:

„ბოლგარიაში სხვა-და-სხვა პარტიებს შორის უთანხმოების გამო, ამ პარტიებს უნდათ გამოიწვეიონ რუსეთის მხრით თავიანთი მოწონება, რომ ამით ისარგებლონ და მოიმხრონ თავის მხარეზედ ხალხის თანაგრძნობა. ამ ჰაზრით, ბოლგარიის ლიბერა-

ლურმა პარტიამ გამოუგზავნა გრაფ იგნატიევს ტელეგრამმა, რომლითაც სთხოვდნენ ეშუამდგომლა მას ხელმწიფე იმპერატორთან, რომ მიელო მათი მფარველობა. ბრ. იგნატიევმა დეპეშითვე შემდეგი პასუხი გაუგზავნა:

„სოფია, ცანკოვს: თქვენ უნდა მიჰმართოთ რუსეთის წარმომადგენელს ბოლგარიაში ხიტროვოს, ანუ კანცლერს გორჩაკოვს. რუსეთს, რომელმაც თავის სისხლით აღადგინა ბოლგარია, არ ჰსურს გაერიოს მის შინაგან საქმეებში, ხოლო ისურვებს მისთვის კეთილ-წყობილობას, ერთგულობას, განათლებას და მშვიდობიანობას“.

უცხოეთი

ბოლგარია, მმართველობის მოამბეში დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა მიღებული ქ. რუშჩუკიდამ რუსეთის ელჩისაგან გამოგზავნილი:

„12 ივნისს, მთავარი და მე მიველით რუშჩუკში; მის უმაღლესობას მიეგებნენ დიდის სიხარულით. ხალხმა გამოხსნა ცხენები ეტლიდამ და აღტაცებით წაგვიყვანა ქალაქში, რომელიც მოწყობილი იყო ბაირაღებით; მთავარმა მიიღო დეპუტაციები; 24 ქალაქმა გამოგზავნა თავიანთი წარმომადგენლები ადრეესებით, რომლითაც უცხადებენ ქეშევრდომობის და სრული ნდობის გრძნობას. ერთმა დეპუტაციამ ჩამბარა მე ადრესი, რომელშიაც გამოთქმული იყო მადლობა მიცვალებულის იმპერატორისადმი და თანაგრძნობა ხელმწიფე იმპერატორის Ალექსანდრე III-სა. მთავარი Ალექსანდრე არის ზნეობითი კავშირი ბოლგარიასა და რუსეთს შუა. დეპუტაციამ მთხოვა გამოუცხადო ხელმწიფე იმპერატორს ეს მათი გრძნობა და დაუმტკიცო მათი ერთგულობა მთავრობისა და რუსეთის ხალხის წინაშე; დეპუტაციები, რომელნიც მოვიდნენ ვარნიდამ, სილისტრიიდამ და თურთუკაიდამ და გამოეცხადენ მის აღმატებულებას ბოლგარიის მთავარს, მოვიდნენ ჩემთანაც იმ გვარიეე გრძნობის გამოსაცხადებლად“.

— დეპუტატთა პალატაში, ლონდონში, 8 ივნისს, სამზღვარ გარეთ საქმეთა სამინისტროს სეკრეტრის თანამშემწეს ლორდ ულფს უთქვამს, ტყუილია ის ხმებიო, რომ ვითომ ბოლგარიას დაიჭერს თავის ჯარით რუსეთი ან სხვა რომელიმე სახელმწიფო, თუ ხალხი უარს ჰყოფს მთავრის წინადადებასაო. შეთუოდ ეს ხმა მისთვის იყო გავრცელებულიო, რომ იქონიონ გავლენა აღმომრჩევლებზედ. ინგლისის გაზეთების სიტყვით, მთავარი Ალექსანდრე ყოველ ღონისძიებას ღა საშუალებას ხმარობს, რომ დაუშალოს ბოლგარიის ხალხს თავისუფლათ თავის აზრის გამოთქმა. აქისათვის მთავარმა დანიშნა რამდენიმე აგენტები, რომელთაც უნდა დაიცვან ოფიციალური კანდიდატები.

გაზეთი „Daily News“ ამბობს, რომ მთავრობა ჯოხაეს, ატუსალებს იმათ, ვინც უარს ამბობს თანაგრძნობის ადრესებზედ ხელის-მოწერას, და რომელსაც უმზადებენ მისართმევათ ბოლგარიის მთავარსო და სხვ.

თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დიდის ცხრა საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

ორშაბათს. გავრანსკი — ექიმი ბებიაობისა და ქალების ავათმყოფობისა; გორალევიჩი და ლისიცოვი—შიგნაგან ავათმყოფობისა; როტინიანცი—ქალებისა და უმაწვილების ავათმყოფობისა, ბავშვი სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა; შტემბორსკი ვენერიულ და ტუავის ავათმყოფობისა.

სამშაბათს. მინკევიჩი—სირუგიული ავათმყოფ.; რეიხი — თვალების ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობისა, ქალებისა და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბეტროვსკი—ვენერიულ ავათმყოფობისა,

ოთხშაბათს. კრასნოგორიადოვი და ლისიცოვი შინაგან ავათმყოფობისა; ქიუჩარიანცი და შტემბორსკი—რიფილიტიკური და ტუავის ავათმყოფობისა.

ხუთშაბათი გავრანსკი—ბებიაობისა და ქალების ავათმყოფ.; როტინიანცი—ქალებისა და უმაწვილების ავათმყო.; ბაბაევი ძარღვების სისუსტისა და ელეკტრო-ტერაპიისა ლისიცოვი და ბეტროვსკი შინაგან ავათმყოფობისა; ქიუჩარიანცი 1-ლი სიფილიტიკური ავათმყოფობის.

პარასკევს. მინკევიჩი—სირუგიულ ავათმყოფობის; ბასუტოვი—ბებიაობისა, ქალებისა და უმაწვილების ავათყოფობისა; კრასნოგლიადოვი, ლისიმოვი და ვერმიშოვი—შინაგან ავათყოფობისა; შტემბორსკი — ვენერიულ და ტუავის ავათმყოფობისა.

შაბათი. ლისიცოვი — შინაგან ავათმყოფობის. რეიხი—თვალების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტისა და შინაგან ავათმყოფობის; ქიუჩარიანცი 2-რე—ქალებისა და შინაგან ავათმყოფობისა.

ობრესტი — ბინდის ავათმყოფებს, მიიღებს თავის სახლში მუდამ დრეს რდაიბებს საავათმყოფოს ბარათებით.

განცხადებანი

ჯანჯუღაზოვების მოსკოველ მოვაჭრეების ვექილი

ვ. მ. ლებედინსკი

ჩვისრულობს სამოქალაქო და სასამართლის საქმეების წარმოებას თფილისის სასამართლოებში და სამოსამართლო პალატაში რჩევას მუქთად აძლევს.

მთხოვნელებს მიიღებს მუდამ დღე ნაშუადღევის 5 საათიდამ 7-მდინ, შაბათსა და კვირას გარდა. **ადრესი:** გალავინის პრასპ., მირიმანოვის სახლი, „საქართველოს“ სასტუმროში.

(6—1)

ინგლისის მაღაზიაში

მოსახურავი 4 მანე., ნასოსები 1 მ., დასაკეც სკამები 2 მ., სკამიანი ჯოხი 4 მ., კრავატიანი კრესლო 10 მ. დაწყებული, ფილტრები 4 მ., ქინძისთავების შესანახავი 50 კაპ., ბრუსტალის ჩაის სტაქნები 25 კაპ. და 30 კაპ.; ლეპიოშკები და პასტილა თამბაქოს მხმარებლებისათვის 60 კაპ. ინგლისური ვანნები და სხვა. (20—7)

ისყიდება ინგლისის მაღაზიაში

30%-ზე უფრო იაფად, ვიდრე სადმე სხვაგან: მურაბა, კაკაო, ბრინჯი, ჭურჭლეულობა, ბაკლები, ტაშტები, პირის დასაბანები, ჩაინიკები, სტაქნები, პადნოსები, კლიტეები, დანები, კოვზები, კალმები, ქაღალდი, კარანდაშები, რვეულები, თოფები, რევოლვერები, ალბომები, კრაკტები, ტანსაცმელი, ტრიკო, პარუსინა, ცხვირ-სახოცები, პირსახოცები, კლეონკა, ტის და ქალის წინდები. უნაგრები, ბოტინკები. — სერესი, კონიაკი და სხვ. ხა ბოტინკებით კაჭრებს ფუთობით 44, 46, 48, 50, 52, 54 და სხვ..

იქვე იაფად: შარბეთი, მაგნეზია და წყურვილისაგან ლეპიოშკები, ციკვებისაგან ქინაქინას ღვინო, კარბოლის პარაშოკი, სპონი და წამლები ეპიდემიისგან დაცვისა, მედიკური ქაღალდი ფესის-ალაგებისათვის, სპარსეთის პარაშოკი და სხვ.

(15—9)

ჩარკვიანის და ამხ.

წიგნის მაღაზია

გადავიდა თ. მუსრანსკის სახლებში, ატამანის ქუჩაზე, საქართველოს გოსტინიცის პირდა-პირ № 15. 5—5

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

სამმართველო ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკისა საუოველთაოდ აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესდების მე-18 § ძალით, 28 კვირიკობის თვეს მიმდინარის 1881 წლისა, დილის თორმეტ საათზე, ქ. ქუთაისს, ბანკის სამმართველოში (ქარავან-სარაის ქუჩა, სარაზოვების სახლები) საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქმნებიან სსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, რადგანაც მათ წესდებისამებრ ბანკის სახვედრო გარდასახადი არ შემოუტანიათ.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულთა, რომელთა მეპატრონენი, იმავე წესდების მე-19 §-ის თანახმად, სრულად შეავსებენ ბანკის სახვედრო გადასახადსა და თან განცხადებათა სარჯებს.

ქუთაისის გუბერნიის:
ქუთაისის უეზდისა:
43½ წლიანნი სესხნი:

დოდაბერიძისა, მარიამ სიმონის ასულის, კოლლეჟსკი ასესორის მეუღლისა: სოფელსა ბაშს სახნავ-სათესი და ტყე, 46½ დესიატინი; თავნი ვალი 7,333 მანეთი 30 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 312 მან. 98 კაპ., სულ 7,646 მან. და 28 კაპ.

მისივე: სოფელთა ფარცხნაყანევს, ბაშს და იანეთს სახნავ-სათესი, ტყე და სათიბი, 132½ დესიატინი, თავნი ვალი 10,266 მ. 54 კ., შეუვსებელი გადასახადი 544 მან. 53 კ., სულ 10,811 მ. და 7 კ.

ქაჯაიასი, ბიორგი ტარიელის-ძის, აზნაურისა: სოფელს ჭაგანს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 7 დესიატ. და 800 კვადრ. საჟენი; თავნი ვალი 879 მ. 98 კ., შეუვსებელი გადასახადი 60 მან. 37 კ., სულ 940 მ. და 35 კაპ.

დოდონაძისა, ბრიგორი ვასილის-ძის, დიაკონისა: ქვახჭირის აგარს, სოფელს ჭოგნარს ზვარი და სახნავ-სათესი, 4 დესიატინი; თავნი ვალი 588 მ. 51 კ., შეუვსებელი გადასახადი 36 მ. 7 კ., სულ 624 მ. 58 კ.

ყანდინოვისა, ანნა ნიკოლოზის ასულის, ნადეორნი სოვეტნიკის ქალისა: სოფელთა ჭოგნარს, ბოდოგანს და წინაველს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 26 დესიატ. და 600 კვადრ. საჟენი; თავნი ვალი 2059 მან. 76 კ., შეუვსებელი ვადასახადი 95 მან. 43 კ., სულ 2,155 მ. 19 კ.

ნიჟარაძისა, მიხაილ დიმიტრის-ძის, თავადისა: სოფელსა ზედამაღლაკს ეზო და სახნავ-სათესი, 18 დესიატ. და 450 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 784 მან. 75 კ., შეუვსებელი გადასახადი 44 მ. 10 კ., სულ 828 მან. 85 კ.

აგიაშვილისა, ბიორგი თემურაზის-ძის, თავადის, გვარდიის პორუჩიკისა: ეზო, სახნავ-სათესი, ზვარი და ტყე, 114 დესიატ. და 1931 კვადრ. საჟენი; თავნი ვალი 14,757 მ. 41 კ., შეუვსებელი გადასახადი 616 მან. 6 კაპ., სულ 15,373 მან. 47 კ.

მიქელაძისა, დავით Ალექსანდრეს-ძის, თავადისა: სოფ. ჭყუმურს სახნავ-სათესი, 130 დესიატ. 80 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 25,579 მან. 55 კ., შეუვსებელი გადასახადი 1,293 მან. 80 კაპ., სულ 26,873 მ. 35 კ.

კეკანის მეუღლისა, ანნა ფირანის ასულის, აზნაურისა: სოფ. პატრიკეთს ეზო და სახნავ-სათესი, 9 დესიატ. 695 კვადრ. საჟენი; თავნი ვალი 688 მან. 69 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 40 მ. 9 კ. სულ 728 მ. 78 კ.

ქუთათელაძეთა, მეგენიის და ტარასის სოფრომის-ძეთა, აზნაურთა: დაბა

ხონს ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, 8 დესიატ. 2050 კვადრ. საჟენი; თავნი ვალი 1,377 მან. 34 კ., შესავსებელი გადასახადი 54 მან. 92 კაპ., სულ 1,432 მან. 26 კაპ.

ღორთქიფანიძის მეუღლისა, ქესარია ბესარიონის ასულის, თავადისა: სოფ. ზეინდარს სახნავ-სათესი, 13 დესიატ. 300 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1,475 მან. 74 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 72 მან. 19 კაპ., სულ 1,547 მან. 93 კაპ.

მიქელაძისა, მელქისედეკ კონსტანტინეს-ძის, თავადისა: სოფელთა ქულაშს და ოირ-წყალ-შვას ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 17 დესიატინი 1930 კვადრ. საჟენი; თავნი ვალი 2,459 მან. 58 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 112 მან. 31 კაპ., სულ 2,571 მან. 89 კაპ.

ღორთქიფანიძისა, მიხაილ გიორგის-ძის, თავადისა: სოფელსა ამაღლებას სახნავ-სათესი, 82 დესიატინი 1200 კვადრ. საჟენი; თავნი ფული 7,893 მანეთი 80 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 250 მან. 15 კაპ., სულ 8143 მან. 95 კაპეიკი.

იოსელიანისა, პეტრე ნიკოლოზის-ძის, აზნაურისა: სოფელსა წყალტუბოს ეზო, ზვარი სახნავ-სათესი და ტყე, 14 დეს. 600 კვადრატ. საჟენი; თავნი ვალი 1187 მან. 46 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 75 მან. 3 კაპ., სულ 1,262 მან. 49 კაპ.

მიქელაძეთა, ვალერიანის და გიორგის ბეგლარის-ძეთა, თავადთა: სოფელსა ქულაშს ეზო და სახნავ-სათესი, 23 დესიატ. 1104 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 4650 მან. 86 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 278 მან. 88 კაპ, სულ 4,929 მან. 74 კაპ.

ნიჟარაძისა, მიხაილ რევაზის-ძის, თავადისა: სოფელსა ოფიშკვითს ეზო. ზვარი და სახნავ-სათესი, 3 დესიატ., თავნი ვალი 791 მან. 64 კაპ., შეუვსებელი გარდასახადი 47 მან. 5 კაპ., სულ 838 მან 69 კაპ.

ქორქაშვილისა, ანნა რევაზის ასულის, კოლლეჟსკი ასესორის ქვრივისა: სოფელთა მაღლას და ოფიშკვითს სახნავ-სათესი, 25 დესიატ 89 კვადრ-საჟ., თავნი ვალი 694 მან. 60 კაპ., შეუვსებელი გარდასახადი 36 მან. 94 კაპ., სულ 731 მან. 54 კაპ.

სამ-წლიანი სესხი.

მიქელაძისა, ალექსანდრე ტარიელის-ძის, თავადის, პოლკოვნიკისა: სოფელსა კულაშს ეზო, ბაღი და სახნავ-სათესი: $11\frac{1}{4}$ დესიატ., თავნი ვალი 1800 მან. შეუვსებელი გადასახადი 357 მან. 54 კაპ., სულ 2,157 მან. 54 კაპ.

$43\frac{1}{2}$ წლიანი სესხნი.

შ ო რ ა პ ნ ი ს უ ე ზ დ ი ს ა.

სალაძისა, ადამ ნიკოლოზის-ძის, გლეხისა: სოფელსა დილიკაურს, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 3 დესიატ. 432 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 292 მან. 49 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 36 მან. 75 კაპ., სულ 329 მან. 24 კაპეიკი.

ჩხეიძის მეუღლისა, მელანია ქაიხოსროს ასულის, აზნაურისა: სოფელსა ლახუნდარას ზვარი, ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, 26 დესიატინი; თავნი ვალი 3,911 მან. 4 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 245 მან. 19., სულ 4,156 მან. 23 კაპ.

აბაშიძისა, ქაიხოსრო გიორგის ძის, თავადისა: სოფელსა ლაშეს ეზო, ზვარი სახნავ-სათესი, მიდორი და ტყე, 49 დესიატ. 250 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 6,886 მან. 78 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 292 მან. 88 კაპ., სულ 7,179 მან. 66 კაპ.

ჯაჯანაშვილისა, სინო გიორგის-ძის, აზნაურისა: სოფელსა არგვეთს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 66 დესიატ. 1291 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 6,886 მან. 78 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 438 მან 63 კაპ., სულ 7,325 მან. 41 კაპ.

რაჭის უეზდისა.

ჯაფარიძისა, ტარიელ მერაბის-ძის, თავადისა: სოფელსა ღარს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 2 დესიატინა 1800 კვადრ. საჟენი; თავნი ვალი 686 მანეთი 60 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 62 მან. 72 კაპ., სულ 749 მან. 32 კაპ.

ქაფიანიძეებისა: გოგინა მიქელას-ძის, პეტრე, სპირიდონ და იოსებ დავითის-ძეთა, ალექსი შიოს-ძის და მიხაილ შაქარას-ძის, გლეხთა: სოფელსა ნაკიეთს ეზოები, ზვარები, სახნავ-სათესი და სათიბი, 75 დესიატ 1404 კვადრ. საჟენი; თავნი ვალი 5,937 მან. 25 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 283 მან. 60 კაპეიკი; სულ 6,220 მან 85 კაპ.

ლეჩხუმის უეზდისა.

ჩიქოვანის, ივანე ოტიას-ძის, თავადისა: სოფელთა ლასურიაშს, მახაშს და უწყირს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, $48\frac{3}{4}$ დესიატ.; თავნი ვალი 4,904 მან. 17 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 268 მან. 42 კაპ., სულ 5,172 მან. 59 კაპ.

სენაკის უეზდისა.

მიქაძეთა: ალექსანდრე ალექსანდრეს-ძის, რამინ და ბეჟან სიმონის-ძეთა, გიგო, სოლომონ, დიმიტრი და ანტონ ბესარიონის-ძეთა და ეკატერინა პეტრეს ასულის, თავადთა: სოფელსა ჭალადიდს სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყე, 750 დესიატინა; თავნი ვალი 14,757 მან. 41 კაპ. შეუვსებელი გარდასახადი 815 მან. 87 კაპ., სულ 15,573 მან, 28 კაპ.

(შემდეგი იქნება)

ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა კიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად და ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შჩოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...

(100—90)

მიუხედავათ იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერ ბი 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** სააგენტო პარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. გაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ **ინგლისის მაღაზიაში.** მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვლების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა.

(100—73)

მოსახურავი 4 მანეთად, ნასოსები 1 მან., დასაკეცი სკამები 2 მან., სკამიანი ჯოხი 4 მან., კრავატიანი კრესლო 10 მან. დაწყებული, ფილტრები 4 მან. ქინძისთავების შესანახავი 50 კაპ., ხრუსტალის ჩაის სტაქნები 30 კაპ. თითო, ინგლისური ვანნები და სხვ. **ინგლისის მაღაზიაში.**

10,000 რწყვილი ქალის წინდები 25 კაპ. დაწყებული 75 კაპ.-დისინ, 10,000 რწყვ. კაცის წინდები 35 კაპ. 1 მან.-დისინ, 7,000 პალნოსები 5 კაპ.—5 მან.-დისინ., 1,000 კრავატები 5—35 მან.-დისინ, 400 არშინი ბოძაზეი 1 მ.—1 მან. და 30 კაპ.-დისინ, 800 არშ. პარუსინა 40 კაპ.—1 მ.-დისინ 300 რევოლვერი 4 მ.—35 მ.-დისინ, 200 ალბომი ნახევარ ფასად. 10,000 გირვანქა მშვენიერი ჩაი თავის ჩაინიკებით 1 მ.—65 კაპ., რკინის კალმები ყველა გვარ ხელისათვის.

(15—8)

ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გალლერეიაში

(Maison de confiance)

შეადარეთ ჩვენი ჩაი	ჩაის ყველგან
— — 1 მ. 10 კაპ.	— 1 მ. 40 კაპ.
— — 1 „ 20 „	— 1 „ 60 კაპ.
— — 1 „ 40 „	— 1 „ 90 კაპ.
— — 1 „ 60 „	— 2 „ 20 კაპ.
— — 1 „ 80 „	— 2 „ 50 კაპ.
საუკეთესო 2 მანეთ.	— 3 მანეთ.

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით.

(100—8)

ლონდონის მაღაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაი-გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შჩო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩევინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭაჭანას გიარები.

(100—88)

ბიბლიოგრაფიული განცხადება.

დედა-ენა ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახალხო სკოლებში სახმარებელი, მესამე გადასწორებული გამოცემა. ამ გამოცემაში ჩამატებულია ოცზედ მეტი ახალი ხალხური მოთხრობა და ლექსი; ახალი ანდაზები და გამოცანები, შესწორებული შინაარსი და ენა სტატიებისა და რავდენიმე ახალი სურათი არის ჩართული. ისყიდება გამომცემლის ბრიქუროვის მაღაზიაში კუკიის ხიდის ყურში. ფასი ექვსი შაური. მაგრამ წიგნი ხუთშაურათ დაეთმობათ სახალხო სკოლებს და სხვა სასწავლებლებს, როცა იყიდიან ნაღდს ფულზედ ოც-და-ათს ეგზემპლიარსა და კერძოპირებს, როცა წაიღებენ ასს ეგზემპლიარსა.

ბუნების კარი ანუ საკითხავი წიგნი უმცროს კლასებში სახმარებელი, მესამე გამოცემა შევსებული ახალი სტატიებით და შემკული სურათებითა და საქართველოს კარტითა; ფასი თხუთმეტი შაური. ისყიდება ვართანოვთან და სხვა წიგნების მაღაზიებშიაც. ეგზემპლიარი დაეთმობა თოთხმეტ შაურათა, ვინც თხუთეტს ეგზემპლიარს ერთათ ნაღდს ფულზედ იყიდის, ცამეტ შაურათ, ვინც ერთად წაიღებს ოც-და-ათს ეგზემპლიარსა და სამ აბაზათ ასი ეგზემპლიარის ერთათ მყიდველსა.

ვისაც სურს ან პირველი ან მეორე წიგნი ყდაში ჩასმული მიიღოს, წიგნის ფასს უნდა სამი შაური დაუმატოს.

როგორც **დედა-ენა**, ისე **ბუნების კარი** მოწონებილნი არიან (**рекмендованы**) და სახელმძღვანელოდ დადებულნი პეტერბურღის მსწავლულთა კამიტეტისაგან, განათლების მინისტრის დამტკიცებით.

(10—6)

Дозволено цензурою· Тифлисъ, 20 Іюня 1881 г· Типографія С· Меликова· გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი